ბიულეტენი

აჭარის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№1 (43) იანვარი 2011 წელი

წმ. მღვდელმოწამე ამოლ ყარაბალელი



უმაღლესი ჯილდო

ბიულეტენი გამოდის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) ლოცვა-კურთხევით 2007 წლის ივლისიდან

გულოცავთ!

2011 წლის 7 იანვარს, შობის ბრწყინვალე დღესასწაულზე უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ილია II საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი, წმიდა გიორგის ოქროს ორდენით დააჯილდოვა საქართველოსა და აფხაზეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სტეტლანა ძეტბა ქართველი და აფხაზი ხალხების ურთიერთობაში შეტანილი გამორჩეული წვლილისათვის და კულტურის სფეროში განეული ღვაწლისათვის და ექიმი გურაბ ჩიქოვანი დიდი ღვაწლის – ქართველთა და აფხაზთა შორის ურთიერთკავშირის განმტკიცებისათვის.

ტაწვიდიდ 2010 წელ

სულიერებისა და კულტურის ცენტრმა 2010 წელს მოღვაწეობა დაიწყო პატრიარქის დაბადების დღესთან დაკავშირებით საპატრიარქოში აფხაზეთის მთავრობისა და კულტურის მოღვაწეებთან შეხვედრით (3 იანვარი) და დაასრულა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II აღსაყდრების 33 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოთი მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზას“ (27 დეკემბერი) საკონცერტო დარბაზში. საღამოში ძირითადად ახალგაზრდა შემსრულებლები მონაწილეობდნენ, რომელთაც 2010 წელს საერთაშორისო კონკურსებსა თუ ფესტივალებში მიაღწიეს წარმატებას. აფხაზეთის კულტურის მუშაკთაგან მსმენელთა წინაშე წარდგნენ მერაბ ბრეკაშვილი, თემურ ფარულავა, მაია ფარულავა და აფხაზეთის მუსიკალური სასწავლებლის კურსდამთავრებული ალუდა თოდუა. მხატვრული სრულყოფილებით გამოირჩეოდა საქართველოს სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ერისიონის“ გამოსვლა.



პატრიარქთან შეხვედრის და მისი დალოცვის ბედნიერება ცენტრის თანამშრომლებს ხვდა წილად აგრეთვე, ძველით ახალი წლის აღნიშვნისას, რომელზეც მოწვეულები იყვნენ აფხაზეთის მთავრობისა და ხელოვნების დარგის წარმომადგენლები (13 იანვარი).

პატრიარქის პიროვნებისადმი დიდი სიყვარულის გამოხატვის მონაწილედ გვაქცია მისი უწმიდესობის თანხლებამ საჩხერე-ჭიათურის ეპარქიის სტუმრობისას (17-19 სექტემბერი), მაშინ, როდესაც რეგიონი აკაკი წერეთლის იუბილეს აღნიშნავდა. ამან განაპირობა ის, რომ ეპარქიის საზღვრებში არსებული წმინდა ადგილების მოლოცვასთან ერთად პატრიარქი და სტუმართა დელეგაცია ესტუმრა პოეტის სახლ-მუზეუმს.

ორი მასშტაბური ღონისძიება განხორციელდა სპონსორი ორგანიზაციების დახმარებით. კერძოდ, სახალხო უნივერსიტეტის გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის, ევროკომისიისა და „მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ დაფინანსებით დაბა ჯვარში სენაკისა და ჯვარის სათემო განათლების ცენტრები შეიქმნა (28 იანვარი). 18-თვიანი პროექტი მიზნად ისახავდა იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიური ინტეგრაციის ხელშეწყობას სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ხელშეწყობით ტაბახმელაში მოეწყო დევნილ პედაგოგთა გადამზადების კურსების მეხუთე ეტაპი (11-30 ივლისი). პროგრამა ითვალისწინებდა ლექცია-სემინარების ციკლს, ეკლესია-მონასტრების მოლოცვას და შეხვედრებს ხელოვნების წარმომადგენლებთან.

საანგარიშო წლის პირველ ნახევარში ქვაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის სამრევლო სკოლის დარბაზში მეცადინეობა გაგრძელდა საკვირაო სკოლის მოსწავლეებისათვის. თბილისის ზღვაზე მდებარე №3 და წყნეთის მე-8 საჯარო სკოლების 30-მდე მოსწავლემ მოისმინა საქართველოს სახალხო არტისტის, რეჟისორ გურამ მელივას საუბრე-

(გაგრძელება მე-4 გვ.)

(დასაწყისი მე-3 გვ.)

ბი ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების საფუძვლებზე. სამწუხაროდ, წლის მეორე ნახევარში მეცადინეობა შეწყდა, რადგან

მოსწავლეთა ორგანიზებული დასწრება ვერ მოხერხდა.

წარმოშობით ოჩამჩირელმა ლევან ხვიჩიამ, დრამის რეჟისურის სამაგისტრო ფაკულტეტის სტუდენტმა,რობერტ სტურუას ხელმძღვანელობით რუსთაველის სახელობის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე საკუთარი სცენარით დადგა სპექტაკლი „აბსენტი“ (4 მაისი). ახალგაზრდა ხელოვანის ნამუშევრის გასაშუქებლად ცენტრმა სპექტაკლზე მიავლინა თეატრმცოდნე ხათუნა წულაძე. საფუძვლიანი რეცენზია გამოქვეყნდა ცენტრის №5 ბიულეტენში.

ახალგაზრდების ქრისტიანული ჭეშმარიტების გზაზე დაყენებას ისახავდა მიზნად სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (წლის მანძილზე) მოძღვართა ჯგუფის საქმიანობა, რომელსაც ხელმძღვანელობს დეკანოზი ბიძინა (გუნია).

შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული მოზარდების წასახალისებლად ცენტრის ოფისში შედგა (22 ივნისი) შეხვედრა და მე-3, №8 წყნეთის, №2 ვაშლიჯვრის საჯარო სკოლების, აფხაზეთის №1 ხელოვნების სამხატვრო სკოლის აღზრდილთა 44 ნახატის, აგრეთვე, ცენტრთან არსებული საეკლესიო ნაქარგობების წრის წევრების ნამუშევართა გამოფენა. საკუთარი პოეტური და პროზაული ნაწარმოებები წაიკითხეს დევი ლაცუზბაიამ და ნანა გეგეჭკორმა. შეხვედრის მონაწილე მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის დაუკრა ნორჩმა, მაგრამ უკვე საკმაოდ ცნობილმა პიანისტმა ირმა გიგანმა. ღონისძიების ამაღლებული განწყობილება კიდევ უფრო გააძლიერა იმან, რომ ბავშვებმა თავის ნამუშევრებზე მიიღეს მეუფე დანიელის (დათუაშვილის) ლოცვა-კურთხევა და პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის დადებითი შეფასება.

საეკლესიო ნაქარგობის წრე უკვე სამი წელია ცენტრთან არსებობს. აქ ბავშვები ეუფლებიან ჯვრული ტექნიკით ქარგვის ხელოვნებას, მუშაობას თექაზე, რაც მათ ხელსაქმისადმი სიყვარულს უღვიძებს. ზემოთ აღნიშნული გამოფენის გარდა, მათი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო (23 ნოემბერი) ქვაშვეთის ტაძრის სამრევლო სკოლის საკონფერენციო დარბაზში.

აფხაზეთის ცნობილ ქალბატონებს ცენტრმა ქალთა დღეების საზეიმო ატმოსფერო გაუხანგრძლივა ოფისში „ფინჯან ჩაიზე“ მოწვევით. მოწვეული სტუმრები განაცვიფრა ოფისში გამოფენილმა ნელი ბარკალაია-ნორაკიძის მიერ ამოქარგულმა მხატვრულმა ტილოებმა, რომელთა შექმნას ავტორმა წლები მოანდომა. მათ აღნიშნეს, რომ მშობლიური სახლის მოშორებით ისინი მოკლებულნი არიან ერთმანეთთან ურთიერთობის სიხარულს და მადლიერება გამოთქვეს ცენტრის მისამართით შეხვედრით მონიჭებული სიამოვნების გამო (12 მარტი).



შეხვედრაზე მოწვეულმა მუსიკოს-შემსრულებლებმა მეტი სითბო და ხალისი შესძინეს საღამოს.

ოფისში აღინიშნა, აგრეთვე, მოც. სწორთა კონსტანტინე მეფისა (337) და ელენე დედოფლის ხსენების დღე. ამასთან დაკავშირებით სტუმრად სასულიერო პირებთან ერთად მოწვეული გვყავდნენ მეუფე დანიელი, მონოზონი ელენე (ნაფეტვარიძე), პოეტი ლია სტურუა, კომპოზიტორი კახა ცაბაძე.

ცენტრის ოფისში მოწყობილი შეხვედრებიდან უნდა გამოიყოს კიდევ ორი ღონისძიება, რომლითაც პატივი მივაგეთ ხელოვანთ, დიდი წვლილი რომ შეიტანეს ჩვენი ქვეყნისა თუ მსოფლიო კულტურის საგანძურში. ესენია: ჩეხეთის საელჩოსთან ერთად გამართული ივანე პრიბილის (საქართველოს ბალნეოლოგიური სიმდიდრეების მკვლევარი) ხსოვნის (4 ივნისი) და პეტრე ჩაიკოვსკის დაბადების 170 წლისთავისადმი მიძღვნილი (19 ნოემბერი) საღამოები.

ზაქარია ფალიაშვილის მუზეუმის ერთ-ერთი ექსპონატი — ვალტორნა, რომელიც სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სასწავლებელმა გადასცა მუზეუმს დაარსების პირველივე წლებში, გახდა მთავარი გმირი შეხვედრისა, რომელიც მუზეუმში გავმართეთ (16 აპრილი). ღონისძიებაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის მუსიკალური კოლეჯის პედაგოგ-მოსწავლეები.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ზაქარია ფალიაშვილის მუზეუმთან ერთად

(გაგრძელება მე-5 გვ.)

(დასაწყისი მე-4 გვ.)

რობერტ შუმანის დაბადების 200 წლისთავის აღნიშვნა (30 ნოემბერი). მსოფლიო მნიშვნელობის ამ დღესასწაულს ჩვენ გერმანიაში მოღვაწე ქართველი პიანისტის ელისო ასათიანის პროექტის ორგანიზებით შევუერთდით.

საქართველოს კულტურის უახლოეს ისტორიაში თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასა და აფხაზეთის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სასწავლებლის ნაყოფიერი შემოქმედებითი კონტაქტების გახსენებას ემსახურებოდა საღამო „საქართველოს საფორტეპიანო სკოლის მიღწევები“, რომელიც მოეწყო საქართველოს მუსიკალური საზოგადოების დარბაზში (6 აპრილი), სადაც აფხაზეთის მუსიკალური სკოლის პედაგოგები შეხვდნენ თენგიზ ამირეჯიბს.

ბოლო ხანს თბილისში, ლილოში დამკვიდრებული აფხაზური ოჯახებისადმი დიდ მზრუნველობას იჩენს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია: მათთან მიბრძანებულ იქნა ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი; ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს (5 აპრილი) მეუფე დანიელმა მოინახულა დევნილები, აკურთხა მათი საცხოვრებელი ბინები, დალოცა და ფასიანი საჩუქრები გადასცა მათ; ხარების ბრწყინვალე დღესასწაულზე (7 აპრილი) ისინი, აფხაზ მრევლთან ერთად, მიიწვია მეუფე დანიელმა მარტყოფის მამათა მონასტერში, რომლის წინამძღვარი, მამა ბენიამინი (ბელქანია) თავად სოხუმის მკვიდრია. ბერებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს თანამემამულეებს და საზეიმო პარაკლისის შემდეგ ტრაპეზზე მიიწვიეს. დასასრულს, ყოველმა დამსწრემ საჩუქრად მიიღო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და გიორგი ჩუბინიშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული ალბომი „ქართული ქრისტიანული ხელოვნება“. აფხაზ თანამემამულეებთან შეხვედრები გაგრძელდა შემდეგაც. მეუფე დანიელის კურთხევით სულიერებისა და კულტურის ცენტრმა ორგანიზაცია გაუკეთა მათ წმ. ანდრია პირველწოდებულის მონასტერში წირვაზე დასწრებას (11 აპრილი).

ბიჭვინთის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი მიბრძანებული იქნა, აგრეთვე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში (19 მაისი), სადაც ათასამდე აფხაზეთიდან დევნილი ცხოვრობს. მეუფე დანიელის ქადაგების შემდეგ მოძღვრებმა დევნილთა ბინები აკურთხეს. რამდენიმე კვირის მანძილზე თითოეულ მათგანს ჰქონდა ხატთან ლოცვისა და მოძღვრისაგან რჩევა-დარიგების მიღების საშუალება.

აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლებისა და დევნილი მოსახლეობისათვის მეუფე დანიელმა (დათუაშვილმა) სვეტიცხოვლის ტაძარში აღავლინა ღვთისმსახურება (15 სექტემბერი), რომელიც მიეძღვნა სვეტიცხოვლის ტაძრის 1000 წლისთავს.

„ზღვა და სივრცე“ — ჯანო ჯანელიძის ამ ლექსზე სულიერებისა და კულტურის ცენტრის დაკვეთით პოეტის 70 წლისთავის აღსანიშნავად შეიქმნა ნუნუ გაბუნიას მელოდიური სიმღერა. ამ სევდიანი, მონატრებით გაჯერებული სიმღერის სახელწოდებით ჩატარდა პოეტის ხსოვნის საღამო (19 მაისი). ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა მსახიობებმა და ანსამბლმა „რუსთავმა“.

ცენტრის საქმიანობაში გარკვეული ტრადიცია შეიქმნა. პირველ რიგში, ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ხელშეწყობით დევნილ პედაგოგთა გადამზადებისა და ეკლესია-მონასტრების მოლოცვის კურსები ტაბახმელაში (11-30 ივლისი) და დიმიტრი გულიას დაბადების დღის (19 თებერვალი) აღნიშვნა. წელს ეს უკანასკნელი გაიმართა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუნიკაციების დეპარტამენტთან ერთად. დიმიტრი გულიას ნაწარმოებები წაიკითხეს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წამყვანმა ახალგაზრდა მსახიობებმა ია სუხიტაშვილმა და ლევან ხურციამ. უნივერსიტეტის პროფესორებმა ოთარ ჟორდანიამ, ზურაბ პაპასკირმა, თეიმურაზ გვანცელაძემ, აკადემიკოსმა ლორიკ მარშანიამ ისაუბრეს დიმიტრი გულიას მრავალმხრივი მოღვაწეობის როლზე აფხაზური კულტურის განვითარების საქმეში. საკუთარი ლექსები წაიკითხეს გენო და რენე კალანდიებმა.

ტრადიციული გახდა, აგრეთვე, 27 სექტემბრის, ხსოვნის დღის, აღნიშვნა. ამ თარიღთან დაკავშირებით აფხაზეთის მთავრობამ მუსიკალური ცენტრის საკონცერტო დარბაზში მოაწყო საღამო „27 სექტემბერი“. საღამოს დაესწრო და შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა მეუფე დანიელმა. საერო პირთა გამომსვლელებს შორის სიტყვა წარმოთქვა სვეტლანა ქეცბამ.

2010 წლის 19 აგვისტოს, ფერისცვალების დღესასწაულზე, მისმა უწმიდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი) დააჯილდოვა მღვდელთმთავრის უმაღლესი ჯილდოთი — სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით.

წლის მანძილზე გრძელდებოდა სულიერებისა და კულტურის ცენტრის საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემა. გამოიცა სულ 11 ნომერი.

სტუმრად ხალხარეებთან

ხელის ჩრდილების თეატრი „ბუდრუგანა-გაგრა“ საკმაოდ პოპულარული კოლექტივია აფხაზეთიდან დევნილებში. თავად თეატრის მსახიობებიც აფხაზეთის მკვიდრი ახალგაზრდები არიან. სულიერებისა და კულტურის ცენტრთან ერთად არაერთი ერთობლივი ღონისძიება ჩაუტარებიათ. ამჯერად გადავწყვიტეთ მათი შემოქმედება დიღმის ბავშვთა სახლის (დირექტორი ლალი მერაბიშილი) აღსაზრდელებისათვის, მათ შორის, აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისათვის, გაგვეცნო. 14 იანვარს ვეწვიეთ მათ და ვუჩვენეთ სპექტაკლი „წელიწადის ოთხი დრო“. ღონისძიებას დაესწრო 32 2-დან 16 წლამდე ასაკის მოზარდი. მასპინძლებთან ერთად მოწვეულები იყვნენ დიღომში დევნილთა კომპაქტური ჩასახლების მკვიდრნიც. წარმოდგენა ძალიან მოეწონათ. მათი აღფრთოვანება სპექტაკლის დასრულების შემდეგ დარიგებულმა ტკბილეულმა და სათამაშოებმაც გააძლიერა. ნობათი სულიერებისა და კულტურის ცენტრს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულმა ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრმა გადმოსცა.

რამდენიმე დღის შემდეგ ცენტრის ორგანიზებით 50-მდე დევნილი ბავშვი დაესწრო თეატრ „ბუდრუგანა-გაგრას“ მიერ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე წარმოდგენილ ამავე სპექტაკლს.

„პირველად იყო სიტყვა...“

„.. ყოველი საიდუმლო
ამას ენასა შინა დამარხულ არს“
იოანე ზოსიმე

ვაჟა-ფშაველა

სოფლისა წესი ასეა

(სიმღერა)

სოფლისა წესი ასეა:
ჩვენ წაგალთ, სხვანი რჩებიან;
მკვდრების მაგივრად მალე დვე
მეორეები ჩნდებიან.

სიცოცხლეს სიცოცხლე უეკარს,
ეს მიტომ დადვა წესადა;
სიკვდილი გაუჩენია
მას თავის გასაკვებადა.

იმიტომა სმულს უმულური,
ვით ტანსაცმელი ძველია:
რომ უეკარს ნორჩი, ახალი, —
მით დაიმშვენოს წელია.

დავიხოცებით, სიყვარულს
საკუთარს, ნადებს გულადა,
ვკარგავთ პირადად და ვფიქრობთ
საქვეყნოდ დაკარგულადა.

მკვდარნი ვეკარგვით სიყვარულს,
ის ისევ რჩება ცხოველადა,
დაფრინავს, როგორც ფარვანა,
საამო, კარგი ყოველადა,
გულის მგერა აქვს სამეფოდ,
ვნებათ ღელვა ჰყავს მშობლადა.

ცოცხლებს უმგერებს კვლავ გულსა,
შიგ ია-ვარდის მრგვალია,
იმისგან ჰყვირის ირემი,
მისით დაფრინავს შველია;

მისგანა გალობს ბულბული,
მისგნითვე მწვანობს ველია,
იმისგან ხარობს ბუნება —
უკანასკნელი მწერია...

ზღვაში იღუპვის ჭაბუკი,
თავის სატრფოსთვის ხელია.
დიდება ქვეყნის შემომქმედს,
რა კარგად დაუწერია!..

წმიდა მიწაძე აშოტ კურაპალატი, ერისმთავარი ადარნერსეს ძე (+829) 29 (11.02) იანვარი

წმიდა მეფე აშოტ კურაპალატი ქართლის ერისმთავარ ადარნერსეს ძე იყო. 786 წელს, როდესაც აშოტი ქართლის ერისმთავარი გახდა, ამ დროს საქართველო ოთხ ნაწილად იყო დაყოფილი: თბილისი მისი შემოგარენით და შუა ნაწილი საქართველოსი არაბთა ამირას ემორჩილებოდა, აღმოსავლეთი — კახთა მთავარს, გრიგოლს ეპყრა, დასავლეთ საქართველოს აფხაზთა მეფე განაგებდა, სამხრეთ საქართველო კი, ღვთის ნებით, იქცა სამკვიდრებელად აშოტ კურაპალატისა და მისი შთამომავლობისა. ერისმთავრად დადგინების დღიდანვე დაიწყო აშოტმა ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, ისარგებლა არაბთა დაუძლურებით და თბილისიდან განდევნა აგარიანნი. „თბილისს არავინ დარჩა სარკინოზთაგანი, თუნიერ ალი შუაბის ძისა“, ქართლის შემომტკიცების შემდეგ ბარდავიც ქართლს შეუერთა აშოტმა და სამი წლის მანძილზე მის „სახლად იყო ტფილისი და ბარდავი“. ამასობაში ხალიფას ტახტზე ახალი მბრძანებელი ავიდა, „განძლიერდა ხელმწიფება აგარიანთა და იწყეს ძიება აშოტისა და ვერ უძლო წინააღმდგომად მათდა აშოტ და ივლტოდა მათგან“. თბილისი კვლავ არაბებმა ჩაიგდეს ხელში. აშოტი იძულებული გახდა, საბერძნეთში წასულიყო ცოლ-შვილთან და მცირერიცხოვან სპასთან ერთად.

ჯავახეთს მიწევნული ლტოლვილები ფარავნის ტბასთან შეჩერდნენ დასასვენებლად. მძინარეებს სარკინოზთა ლაშქარი დაესხათ თავს. მცირერიცხოვანი სპა სასიკვდილოდ იყო განწირული, მაგრამ „შეეწია ღმერთი აშოტ კურაპალატსა და კნინსა ლაშქარსა მისსა, მოსცა ძლევა მას ზედა და მოსრნეს სიმრავლენი ურიცხუნი“. ერისმთავარმა ამ გამარჯვებაში ღვთის ნიშანი განსჭვრიტა, საბერძნეთში წასვლა გადაიფიქრა და შავშეთ-კლარჯეთში დარჩენა გადაწყვიტა.

ამ დროს სამხრეთ საქართველო საცოდავ მდგომარეობაში იმყოფებოდა. უსჯულოთაგან დარბეული ხალხის გაჭირვებას ქოლერის ეპიდემიაც დაემატა და „მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ“. სასომიხდილმა და უბედურებისაგან ქანცგაწყვეტილმა მოსახლეობამ სიხარულით და სიყვარულით მიიღო აშოტ კურაპალატი. იგი შეუდგა დანგრეული ქვეყნის აღდგინებას, „რომელნიმე სოფელნი მის ქვეყანაჲსანი მოიყიდნა საფასოთი, ზოგნი ოჴერნი აღაშენნა და განამრავლა სოფლები აშოტ კურაპალატმან ქვეყანათა მათ შინა“.

აშოტ კურაპალატმა აღადგინა წმიდა კეთილმსახური მეფის, ვახტანგ გორგასლის (ხს. 30 ნოემბერს) მიერ აშენებული არტანუჯის ციხე, რომელიც მურვან-ყრუს მიერ იყო აოხრებული, მის მახლობლად ქალაქი გააშენა და კლარჯეთელ ბაგრატიონთა საბრძანებლად გამოაცხადა იგი, ააგო წმიდა პეტრე და პავლე მოციქულების სახელობის ეკლესია. „მრავალგზის მოსცა ღმერთმან აშოტ კურაპალატსა ძლევა და დიდი დიდება ბრძოლასა შინა“.

კლარჯეთი ახალ სიცოცხლეს იძენდა. სრულიად საქართველოს პოლიტიკურ ცენტრად ქცეული მხარე სულიერადაც მტკიცდებოდა და ძლიერდებოდა. ღირსი მამა გრიგოლ ხანძთელის (ხს. 5 ოქტომბერს) და მისი თანამოსაგრეების ძალისხმევით უდაბნო დაბა-სოფლებად იქცა, აშენდა ეკლესია-მონასტრები, ჩამოყალიბდა ლიტერატურული სკოლები, ერის საუკეთესო შვილები მიდიოდნენ კლარჯეთში და ღმერთშემოსილი მამების გვერდით საქართველოს კეთილ მომავალს ჭედდნენ.

საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი წმიდა აშოტ დიდი ღვთის მოშიში და მოყვარული იყო. მან დიდი სიხარულით და პატივით ისტუმრა თავის სასახლეში წმიდა მამა გრიგოლი, „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“. ღირსმა მამამ აკურთხა ხელმწიფე: „არა მოაკლდეს მთავრობაჲ შვილთა შენთა და ნათესავთა მათთაჲ ქუეყანათა ამათ უკუნისამდე ჟამთა, არამედ იყვნენ იგინი მტკიცედ უფროჲს კლდეთა მყართა და მთათა საუკუნეთა და დიდებულ იყვნენ უკუნისამდე“.

წმიდა აშოტ კურაპალატი ღირსი გრიგოლის კეთილ საქმეს მატერიალურადაც შეეწია. „შესწირა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა“. მეფის შვილებმაც — ადარნერსემ, ბაგრატმა და გუარამმაც, დიდძალი საფასე გაიღეს კლარჯეთის უდაბნოთა ასაღორძინებლად. ბრძოლებში შეუდრეკელი აშოტი უსიტყვოდ ემორჩილებოდა ეკლესიის მსახურებს. ერთხელ სიძვის ეშმაკი შეუჩნდა ზნეკეთილ მეფეს, „გარდარეული სიყუარულით“ შეუყვარდა ერთი ქალი, დაივიწყა ღირსებაც, პატივიც, მოვალეობაც ღვთისა და ერის წინაშე და დედოფლისთვის აღდგენილ არტანუჯის სასახლეში მიიყვანა იგი. ღირსმა გრიგოლმა შეიტყო „საქმეჲ იგი სულისა განმხრწნელი“, „შეწუხდა ფრიად“, ეახლა მეფეს და ამხილა მისი უღირსი საქციელი. შეცბუნებულმა აშოტმა აღუთქვა განტევება ქალისა, მაგრამ სიტყვა ვერ შეასრულა, „რამეთუ დაემონა გულისთქუმასა“. ღირსმა გრიგოლმა აშოტ კურაპალატის დაუკითხავად დედაკაცი სასახლიდან წაიყვანა და მერეს დედათა მონასტერში წინამძღვარ თებრონიას (ხს. 5 ოქტომბერს) მიჰგვარა. მეფემ დედა თებრონიას ქალის გაშვება სთხოვა, რაზეც დედა თებრონიამ მკაცრი უარი უთხრა. ხორციელად ძლიერმა ხელმწიფემ

(გაგრძელება მე-8 გვ.)

(დასაწყისი მე-7 გვ.)

თავი დადრიკა „სულით ძლიერი“ დედის წინაშე და ოხვრით წამოსცდა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს“. ღვთისმოშიშ მეფეს „მამხილებელად აქუნდა თჳსი გონებაჲ“ და როცა ცოდვა განეშორა, აშოტმა სულით გაიხარა და აქებდა „წმიდათა მას მძლავრებასა“, „სიხარულით წარვიდა, რამეთუ გულითა წმიდითა აქუნდა ნეტართა მათ პატივი, ვითარცა სულისა მისისა საუკუნოდ გჳირგჳნოსან-მყოფელთაჲ“.

ღვთისა და ქვეყნის მოყვარული მეფე მთელი ქართლის დაბრუნებისათვის ემზადებოდა, მაგრამ „მოვიდა ხალილ იაზიდის ძე არაბი და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი“. აშოტი საბრძოლველად მოემზადა, მალემსრბოლი გაგზავნა ლაშქრის შესაკრებად, მაგრამ, სანამ ჯარი შეიკრიბებოდა, „დაესხნენ სარკინოზნი უცნაურად და აოტეს იგი“. ხელმწიფემ ნიგალის ხევს მიჰმართა და „იწყო ძებნად ერისა, რათამცა ვითა განიმრავლა ლაშქარი თჳსი“. საუბედუროდ, წვეულთა შორის მოღალატენიც აღმოჩნდნენ. საუბედუროდ, მეფე ძალიან გვიან მიხვდა ღალატს. მან თავი ტაძარს შეაფარა, მაგრამ იუდას ცოდვით დამძიმებულებმა იქაც შეაღწიეს და მოკლეს მეფე „მახჳლითა საკურთხეველსა ზედა“. „დაკლეს იგი, ვითარცა ცხოვარი აღსავალსა საკურთხევლისასა და სისხლი იგი მისი დათხეული დღესაცა საჩინოდ სახილველ არს“, — წერს სუმბატ დავითის ძე თავის წიგნში „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“.

ასე მოწამეობრივად აღესრულა პირველი ბაგრატოვანი ხელმწიფე, „კეთილად მორწმუნე, რომლისა გამო დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობაჲ მისი და შვილთა მისთაჲ“.

ქართველებმა მტერს არ შეარჩინეს საყვარელი ხელმწიფის სიკვდილი. დოლისყანას მყოფებმა გაიგეს, რომ „მოიკლა მათი უფალი აშოტი“, დაედევნენ მკვლელებს, ჭოროხის მიდამოებში დაეწივნენ გაქცეულებს და ისე ამოწყვიტეს, რომ ამბის წამღებიც არ დარჩენილა.

წმიდა მოწამის, აშოტ დიდის ნეშტი დაკრძალეს მის მიერ აშენებულ, წმიდა მოციქულთა, პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესიაში.

„წმიდათა ცხოვრებანი“, წ. I, თბილისი, 2008 წ.

საეკლესიო კალენდარი

1 თებერვალი (სამშ.) — ღირ. ანტონ მარტყოფელის ხსენება (VIს.);
— ღირ. მაკარი დიდის (ეგვიპტელის) ხსენება (390-391წ.);

2 თებერვალი (ოთხშ.) — წმ. ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე) ხსენება (1944წ.);
— ღირ. მაქსიმე ბერძენის ხსენება (1556წ.);

6 თებერვალი, სულთმოფენობიდან 37-ე კვირა — წმ. მელქისედეკ I, საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქის, სვეტიცხოვლის განმაახლებლის ხსენება (XIს.);

7 თებერვალი (ორშ.) — წმ. გაბრიელის, იმერეთის ეპისკოპოსის ხსენება (1896წ.);
— წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის, კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსის ხსენება (389წ.);

8 თებერვალი (სამშ.) — წმ. კეთილმსახური მეფის დავით აღმაშენებლის ხსენება (1125წ.);

9 თებერვალი (ოთხშ.) — წმ. იოანე ოქროპირის ნაწილთა აღმოყვანება (438წ.);

10 თებერვალი (ხუთშ.) — ღირ. ეფრემ ასურის ხსენება (373-379სწ.);

11 თებერვალი (პარ.) — მოწ. აშოტ დიდი კურაპალატის ხსენება (829წ.);

12 თებერვალი (შაბ.) — წმ. შორის მამათა ჩუენთა და დიდთა მღვდელმთავართა: ბასილი დიდის, გრიგოლ ღმრთისმეტყველისა და იოანე ოქროპირის ხსენება;

13 თებერვალი, მეზვერისა და ფარისევლის კვირა — ქართველთა კეთილმორწმუნე მეფის თამარის ხსენება (1213წ.);

15 თებერვალი (სამშ.) — მირქმა – მიგებება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი;

16 თებერვალი (ოთხშ.) — მართალ სვიმეონ ღმრთისმიმრქმელის და ანა წინასწარმეტყველის ხსენება;

17 თებერვალი (ხუთშ.) — ღირ. ევაგრეს (ღირ. შიო მღვიმელის თანამოღვაწის) ხსენება (Vს.);

19 თებერვალი (შაბ.) — ღირ. არსენ იყალთოელის ხსენება (1127წ.);

20 თებერვალი, უძღები შვილის კვირა — წმ. მეფის სოლომონ II (სამშობლოსათვის თავდადებულის) ხსენება (1815წ.);

21 თებერვალი (ორშ.) — დიდმოწ. თეოდორე სტრატილატის ხსენება (1213წ.);

23 თებერვალი (ოთხშ.) — ღირ. იოანე ჭიმჭიმელის (ფილოსოფოსის) ხსენება (XIIIს.);

25 თებერვალი (პარ.) — ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაული;
— წმ. პროხორე ქართველის ხსენება (XIს.);
— წმ. ლუკა იერუსალიმელის (მუხაიძე) ხსენება (1277წ.);
— მოწ. ნიკოლოზ დვალის ხსენება (1314წ.);

26 თებერვალი, ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲘᲡ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ — მიცვალებულთა ხსენება;

27 თებერვალი, ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐ (საშინელი სამსჯავროს ხსენება) — ღირ. მღვდელმონაზონის ილარიონ ქართველის ხსენება (1864წ.);
— ხორცით დაურწყება;

28 თებერვალი (ორშ.) (ᲛᲡᲒᲔᲤᲡᲘ ᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ გარდა ხორცისა)
— მოც. ონისიმეს (სამოცდაათთაგანის) ხსენება (დაახ. 109წ.);

2 მარტი (ოთხშ.) — ღირ. მოწ. თევდორე აჭარელის (მღვდელ-მონაზონის, ოსმალთაგან წამებულის) ხსენება (XVIII-XIXსს.).

ჩვენი მოძღვარი

(კითხვა-პასუხი სულიერი ცხოვრების შესახებ)

— როგორ უნდა მოვიქცე, თუკი შევიტყობ, რომ მეგობარმა ძვირი იზრახა ჩემთვის?

— წმიდა იოანე კიბისაღმწერელის შეგონებით, „როცა გაიგებ, რომ მოყვასმა ან მეგობარმა განგიკითხა და ძვირი გიზრახა შენი არყოფნის დროს, უჩვენე მას ქრისტესმიერი სიყვარული“;

— თუ შეიძლება კვირა დღეს არ დაესწროს კაცი წირვას და მოწყალების გასაცემად იღვაწოს?

— წმიდა ევსევი კესარიელის დარიგებით, „ვინმეს მონა რომ მოიპარო, გაყიდო და გლახაკებს გაუნაწილო, რა მადლს მიიღებ ღვთისაგან? ასევეა კაციც, რომელიც მოიპარავს უფლის დღეს გლახაკთა შესაწევნელად“;

— როგორ არის ეკლესიაში განწესებული ყველაფერი?

— წმიდა გერმანე კონსტანტინეპოლელის სწავლებით, „ეკლესიაში იმგვარადაა ყველაფერი განწესებული, რომ ერთბაშად გაცხადდეს ქრისტეს ჯვარცმა, დაფლვა და აღდგომა“;

— ქმნილებათაგან რა გამოსახავს ყველაზე მეტად წმიდა სამების ერთღმრთეებას (ერთ ბუნებას)?

— წმიდა ბასილი დიდის განმარტებით, „ქმნილ მსგავსებათაგან საღმრთო სამობრიობის ერთობის ყველაზე კარგი ხატი ცისარტყელაა, რადგან მასში ერთი და იგივე ნათელი განუწყვეტლივ-განუყოფელიცაა საკუთარ თავში და მრავალფერიც“;

— რას უნდა მივაქციო ყურადღება საცოლის შერჩევისას?

— წმიდა იოანე ოქროპირის დარიგებით, „ერთადერთი რამ ვეძიოთ საცოლის არჩევისას – სულიერი სათნოება და ზნეკეთილობა, რათა მშვიდობითა და თანხმიერებით დავტკბეთ და მტკიცე სიყვარულით ნუგეშინისცემულ ვიქმნეთ“;

— რა აღაშფოთებს გონებას ყველაზე მეტად?

— წმიდა იოანე კიბისაღმწერელის შეგონებით, „როგორც ქარი აღაშფოთებს ზღვას, ასევე, გულისწყრომა ყველა სენზე მეტად აღაშფოთებს გონებას“;

— რა არის სჯულის აღსარება?

— წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის მითითებით, „აღსარება სჯულისა ორნაირია: სიტყვით და საქმით. სიტყვით ღმერთს ის აღიარებს, ვინც ენით წარმოთქვამს ქრისტეს სახელსა და მის სარწმუნოებას, ხოლო საქმით კი ის, ვინც ცხოვრებითა და საქმეებით გამოხატავს იესო ქრისტეს სახარების ერთგულებას“;

— რისი სახეა ნათლისღების ემბაზი?

— წმიდა ეფრემ ასურის განმარტებით, „ნათლისღების ემბაზი ერთგვარი იორდანეა, სამანი სიცოცხლესა და სიკვდილს შორის, და ვინც მეორე ნაპირს მიაღწევს, მხოლოდ ის შეიქნება სულიერი ქვეყნის მოქალაქე“;

— როგორი უნდა იყოს ქრისტიანი ადამიანების მიმართ?

— წმიდა თეოფანე დაყუდებული შეგვაგონებს, „ყველასთან იყავი მხიარული და ალერსიანი, და ნურავითარ შემთხვევაში ნუ იპირქუშებ“;

— განაპირობებს თუ არა ჩვენს ქცევებსა და საქმეებს მზე, მთვარე და ვარსკვლავები?

— წმიდა იოანე დამასკელი ასე გვმოძღვრავს: „ელინები ამბობენ, რომ ვარსკვლავებისა და, აგრეთვე, მზისა და მთვარის ამოსვლის, ჩასვლისა და მათი თანშეყრის შედეგად განეგება ყოველივე ჩვენეული. ამის შესახებ არსებობს ასტროლოგია. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ის ნიშნები, რაც მათგან ხდება, ეხება წვიმასა თუ უწვიმრობას, სიგრილესა თუ სითბოს, სინოტივესა თუ სიმშრალეს, აგრეთვე, ქარს და სხვა ამგვარს, მაგრამ არანაირად — ჩვენეულ საქმეებს; თვითუფლებრივნი დავიბადეთ ჩვენ შემოქმედისგან, რის გამოც ჩვენეულ საქმეთა უფროსები ვართ.... „ამიტომ, ჩვენ ვამბობთ, რომ ისინი არიან არა მიზეზები მოვლენებისა ანთუ მოვლენათა წარმოქმნისა ან კიდევ ხრწნადთა ხრწნისა, არამედ წარმოადგენენ უფრო ნიშნებს წვიმებისა და ჰაერის ცვალებადობისა. იქნებ ვინმეს ეთქვა, რომ ისინი ომებისთვისაც თუმცა არა მიზეზები, მაგრამ ნიშნები კი არიან, და რომ ჰაერის ვითარება, რაც მზის, მთვარისა და ვარსკვლავებისგან შეიქმნება, სხვარიგად და სხვარიგად ნაირგვარი გზნების, ნათვისობისა და განწყობის შემამყარებელია. მაგრამ ნათვისობანი ჩვენზეა დამოკიდებული, რადგან აზრი განაგებს, წარმართავს და გარდაქმნის მათ“.

თბილისის სასულიერო
აკადემიისა და სემინარიის
ლიტურგიკის ლექტორი
დეკანოზი ᲑᲘᲫᲘᲜᲐ (ᲒᲣᲜᲘᲐ)

სასარგებლო რჩევები

გულის წასვლა, ანუ გონების დაკარგვა

არაერთი მიზეზით (მაგ. ვეგეტაციური ნერვული სისტემის დისფუნქციით, სწრაფი წამოდგომით, შიმშილით...) შეიძლება იყოს გამოწვეული და დახმარების ტაქტიკაც სხვადასხვაგვარია. ყველაზე ხშირად გვხვდება გონების დაკარგვა თავის ტვინში სისხლის მიწოდების უეცარი დაქვეითებისა და ეპილეფსიური გულყრის დროს.

გონების დაკარგვისას კანი ფერმკრთალია, ნამიანი. საკმარისია ადამიანი დავაწვინოთ, რომ გონება სწრაფად დაუბრუნდება. შეიძლება კიდურების ზევით აწევა ხელით ან ბალიშზე მოთავსება. ამ დროს იზრდება სისხლის მიწოდება თავის ტვინისკენ.

არ შეიძლება ენის ქვეშ ნიტროგლიცერინის ჩადება, რადგან იგი არტერიულ წნევას აქვეითებს, გულის წასვლისას კი უხშირესად იგი ისედაც დაბალია. თუ გულწასული მშიერია, შეიძლება დავალევინოთ თბილი და ტკბილი ჩაი, ან ღვინოგარეული შაქრიანი წყალი. გულწასულის ირგვლივ ჯგუფად ნუ შეგროვდებით: მიეცით ჰაერით სუნთქვის საშუალება (ან გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე, მაგალითად, თუ ეს ეკლესიაში მოხდა).

ეპილეფსიური გულყრა ვითარდება ნებისმიერ დროსა და ვითარებაში. ამ დროს კანი ციანოზურია, ან შეწითლებული. ავადმყოფს აწვენენ მუცელზე ან გვერდზე ისე, რომ თავიდან ავიცილოთ ნერწყვისა და პირნაღებინები მასის სასუნთქ გზებში მოხვედრა. არ არის საჭირო მოძრაობის შეზღუდვა, კბილებში შპადელის ან სხვა მაგარი საგნის მოთავსება, ენის დაჭერა.

გულყვითელა

ლათინური სახელწოდებაა calendula. სამკურნალოდ გამოიყენება ყვავილები, რომლებსაც აგროვებენ ყვავილობის პერიოდში — ივლის-სექტემბერში. გამშრალი ყვავილების შენახვის ვადა 2 წელია.

ახასიათებს ბაქტერიოციდული, ანთების საწინააღმდეგო, ნაღვლმდენი, დამაწყნარებელი, ტკივილგამაყუჩებელი, არტერიული წნევის დამწევი მოქმედება.

გულყვითელას ძველთაგანვე იყენებდნენ სიმსივნეების სამკურნალოდ. ამისათვის იღებენ 2 ჩაის კოვზ ნედლეულს, უმატებენ 2 ჭიქა მდუღარე წყალს, აჩერებენ 15 წუთს. სვამენ დღეში 4-ჯერ. ნახარში კი ამგვარად მზადდება: 20 გრამ ნედლეულს დაასხით 3 ჭიქა ცივი წყალი და გააჩერეთ 10 საათი. შემდეგ ადუღეთ 5 წთ, გააჩერეთ კვლავ 30 წთ და გაწურეთ. გაანაწილეთ 5-6 მიღებაზე დღის განმავლობაში.

კოთხუჯი Acorus calamus, аир

გამოიყენება ფესვები, რომელთაც შემოდგომაზე აგროვებენ, წვრილად ჭრიან და აშრობენ. ნახარში იხმარება პირის ღრუს სავლებად ანგინის, კბილის ტკივილისა და ღრძილების დაავადებათა დროს. ფხვნილის სახით მიიღება დანის წვერით 3-ჯერ დღეში გულძმარვისას. ფესვების ღეჭვა ეხმარება თამბაქოს მწეველებს დასძლიონ ეს მავნე ჩვევა. ნაყენს იყენებენ, როგორც მადის აღმძვრელ, კუჭ-ნაწლავის მოქმედების მასტიმულირებელ საშუალებას. კოთხუჯის მიღება არ შეიძლება ორსულობის დროს.

ნაყენის დასამზადებლად 1 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული ფესვები ჩაყარეთ თერმოსში, დაასხით 2 ჭიქა მდუღარე წყალი. გააჩერეთ 10-12 საათი. მიიღეთ დღეში 3-ჯერ ½ ჩაის ჭიქით ჭამამდე ½ საათით ადრე. ნახარშისათვის კი უნდა აიღოთ 10 გრამი დაქუცმაცებული ძირები 200 მლ წყალზე.

ქრისტესისხლა Chelidonium majus, чистотел

სამკურნალოდ გამოიყენება ბალახი, ფესვები, ახალი წვენი. ახასიათებს ნაღვლმდენი, ანთების საწინააღმდეგო, ტკივილდამაყუჩებელი, სიმსივნის საწინააღმდეგო და შარდმდენი მოქმედება. ხალხურ მედიცინაში ბალახი, ფესვები და ახალი წვენი ცნობილია, როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი ხმარებისათვის კანის დაავადებების, ძნელად შესახორცებელი ჭრილობებისა და სიმსივნის დროს.

ქრისტესისხლა ამშვიდებს ნერვულ სისტემას, ახასიათებს არტერიული წნევის დამწევი და სპაზმის მომხსნელი თვისებები. იხმარება ნევროზებისა და თირეოტოქსიკოზის დროს.

ნაყენის დღიური დოზის დამზადების წესი: 2 სუფრის კოვზი ბალახი 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალზე თერმოსში. მიიღება დღეში 2-3-ჯერ მხოლოდ ექიმის დანიშნულებით. დოზის გადაჭარბება სახიფათოა!

აბაზანისათვის: 2 სუფრის კოვზი ბალახი 500 მლ მდუღარე წყალზე.

გვირილა Pyrethrum, ромашка

გამოიყენება ყვავილი ზაფხულის განმავლობაში. სამკურნალო გვირილის გარდა გვხვდება სხვა სახეობის გვირილებიც, რომელთა გამოყენება დაუშვებელია!

ნაყენს იყენებენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანთებითი დაავადებისას. ადგილობრივად — ეგზემის, ფურუნკულის, დამწვრობის, ანგინის, სტომატიტის, ქუთუთოების ანთების დროს. წინააღმდეგჩვენებაა ორსულობა და ფაღარათისაკენ მიდრეკილება.

რევმატული და პოდაგრული ტკივილის შემთხვევაში 2-3 სუფრის კოვზი გვირილა მოხარშეთ მდუღარე წყალში ფაფის მიღებამდე, ცხელი ფაფა ჩადეთ სუფთა ქსოვილში და დაიდეთ მტკივან ადგილზე.

„საეკლესიო სამედიცინო
კალენდარი 2010“
ავტორი და ხელმძღვანელი
არქიმანდრიტი
ადამი (ახალაძე)

სტუმრობა ნიუფოუნდლენდში

შატბერდი

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ალექსანდრე ფარფალია, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 93-17-20, 895-41-21-70. ტირაჟი: 500 ცალი